



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2022 წლის 10 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №4/22  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ**

--- 2022 წლის 13 იანვრის №4 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 18 იანვარს №42/4-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლემ პირადი ინტერესის საფუძველზე გამოავლინა მიკერძოებული დამოკიდებულება მოსარჩელე მხარის მიმართ და სასამართლო სხდომაზე აგრესიულ შეკითხვებს უსვამდა მათ წარმომადგენლებს.

1.2. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერებას და აცხადებს, რომ მოსამართლემ მხარეს მიაკუთვნა ის რაც მას არ მოუთხოვია. კერძოდ, სასამართლომ საკუთარი ინიციატივით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცა გადაწყვეტილება მოსარჩელისთვის 3 თვის ხელფასის მიკუთვნების ნაწილში და მოპასუხე მხარეს დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ადვოკატის ხარჯის ანაზღაურება.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. --- 2020 წლის 4 სექტემბერს სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

2020 წლის 22 სექტემბერს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2021 წლის 5 თებერვალს მოსარჩელე მხარემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს. --- სასამართლოს 2020 წლის 5 თებერვლის განჩინებით - --- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით --- ვაკანტურ თანამდებობაზე სხვა პირის დანიშვნა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2021 წლის 23 თებერვალს მოპასუხე მხარემ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმების მოთხოვნით საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2021 წლის 9 მარტს სასამართლომ მიიღო განჩინება -- -- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2021 წლის 18 ივნისს, 29 ივლისს, 25 აგვისტოს, 17 სექტემბერს, 27 სექტემბერსა და 18 ოქტომბერს.

2021 წლის 18 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა: ბათილად იქნას ცნობილი -- -- 07.08.2020 წ. -- ბრძანება -- -- შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; -- -- აღდგენილ იქნას -- -- თანამდებობაზე და აუნაზღაურდეს იძულებითი განაცდური გათავისუფლების დღიდან (07.08.2020) სამუშაოზე აღდგენამდე (თანამდებობრივი სარგოს და დანამატის ცვლილების გათვალისწინებით); მოპასუხეს ასევე დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ პროცესის ხარჯების ანაზღაურება: სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების სახ. ბაჟი 50 ლარი, სარჩელის სახ. ბაჟი 100 ლარი, ადვოკატის ჰონორარი 1,500 ლარი.

2021 წლის 18 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო განჩინება გადაწყვეტილების ნაწილის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა -- -- სასამართლოს 18.10.2021 წ. გადაწყვეტილება/საქმე -- გადაეცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მხოლოდ მოსარჩელისთვის სამი თვის ხელფასის მიკუთვნების ნაწილში. 2021 წლის 19 ოქტომბერს სასამართლომ გამოსცა სააღსრულებო ფურცელი.

2021 წლის 3 ნოემბერს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა კერძო საჩივარი -- -- სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის განჩინების გაუქმების მოთხოვნით.

2.2. 2021 წლის 29 ნოემბერსა და 2 დეკემბერს -- -- სასამართლოში წარადგინა სააპელაციო საჩივარი -- -- სასამართლოს 2021 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის N<sup>დს-შ/9-16</sup> გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილი დეტალურად განსაზღვრავს კონკრეტული დავების ჩამონათვალს, რა დროსაც კანონიერ ძალაში შესვლამდე დასაშვებია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები: ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ; ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ; გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ; დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ; ე<sup>1</sup>) უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ; ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები; ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელემ მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა, აღნიშნული მოთხოვნა მოსამართლემ დააკმაყოფილა ნაწილობრივ და გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცა მხოლოდ მოსარჩელისთვის 3 თვის ხელფასის მიკუთვნების ნაწილში. ამდენად, მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სრულად/ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ან არ დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად

გადაცემის შესახებ, რა დროსაც სასამართლო საკითხს წყვეტს საქმის გარემოებების ყოველმხრივი ანალიზის და იმ შესაძლო რისკების გონივრულ ფარგლებში შეფასებით, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებას ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმას შეიძლება მოჰყვეს.

რაც შეეხება, მოსარჩელე მხარის წარმომადგენლისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურების მოპასუხე მხარისათვის დაკისრების საკითხს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში - განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2,000 ლარამდე ოდენობით.

შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტით, 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შეწყდეს -- -- №4 საჩივრის საფუძველზე მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №4/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1 პუნქტი).

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
დამოუკიდებელი ინსპექტორი